სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/79 ბრძანება 15-09- 2020 ნ35

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებაში №01-04.60 12.08. ცვლილებების შეტანიის შესახებ

1. შეტანილი იქნას ცვლილება რექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს ბრძანებაში №01-04.60 12.08. უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის განრიგის დამტკიცების შესახებ;
2. 2020-2021 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ბაკალავრიატსა და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დისტანციურად დაიწყოს 2020 წლის 21 სექტემბრიდან, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი განაგრძონ არადისტანციურ რეჟიმში.
3. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.
4. აწსუ-ში სასწავლო პროცესი წარიმართოს ამ ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით არსებულ ონლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle);
5. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს და მულტიმედიური ლაბორატორიის დეველოპერს ბატონ დავით კეთილაძეს, ელექტრონული სწავლების კოორდინატორს ბატონ ნოდარ ცაგარეიშვილს უზრუნველყონ სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა;
6. აწსუ-ში არსებულ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle) სწავლა/სწავლების პროცესის განხორციელების მიზნით, ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ ინფორმაციები (სტუდენტთა სახელი, გვარი და კოორპორაციული ფოსტების მისამართები) აკადემიური ჯგუფების მიხედვით, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურისათვის მიწოდების მიზნით და გამოყონ პასუხისმგებელი პირი ამ ბრძანებით გათვალისწინებული ქმედებების ორგანიზაციული მხარდაჭერის მიზნით;
7. ფაკულტეტების ადმინისტრაციების წარდგინებით, გამოიყოს სივრცეები, ფაკულტეტების მიხედვით, ლექცია-პრაქტიკუმების დისტანციურად ჩატარების მიზნით;
8. მიეცეთ რეკომენდაცია ფაკულტეტებს, რომ დისტანციურად ლექციია - პრაქტიკუმების ჩატარება განახორციელონ, არსებული, დამტკიცებული სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური

დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

9. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
10. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი:, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №820260.

რექტორი	პროფესორი როლანდ კოპალიანი
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	პროფესორი იმერ ბასილაძე